კანტორა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი" ღირს
წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

# იარმარკა

უმაღლესის მთავრობის ნება-რთვით
დ. სუჯუნაში [სენაკის მაზრა] დანიშნულია
იარმარკა
ყოველ წლობით 7-დან 14 ივლისამდე
და საბაზრო დღეები ყოველ კვირაობით, სადაც ისყიდება ყოველგვარი მსხვილი და წვრილი პირუტყვები, შალ-აბრეშუმობა, სხვადასხვა ადგილობრივი სავაჭროები და სხვა.
მსურველთ ყიდვისა და გასყიდვისა შეუძლიანთ მობრძანდნენ დ. სუჯუნაში, რომელიც მდებარეობს აბაშის რკინის გზის სადგურიდან სამი ვერსის მანძილზე და სადაც შეუწყვეტლად ეტლები დაიარება. (4—3)

დაისტამბა და ისყიდება ყველგან ახალი წიგნი ი. იმედაშვილის გამოცემა, № 9.

# ზურაბის კოშკი

(სურათი თუშების ცხოვრებიდან)
ივ. ბუქურაულისა
სუფთად, კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი 40 გვერდი
ფასი 3 კაპ.
ამ წიგნის წმინდა შემოსავლიდან 30% პროცენტი გადაიდება წ. კ. გ. მუზეუმისა და ქართველ დედათა სკოლის სასარგებლოთ.
მსურველთ ფას დადებითაც გაეგზავნებათ. იქვე ისყიდება სხვა ქართული გამოცემები და რუსული წიგნები.
ადრესი: Тифлисъ, Георгіевская, Книжная торговля І. З. Имедашвили. (5—5)

# ექიმი

კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ქალებს, ცხვირისა და ყურთა ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—25)

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმ... ვთათვის. მიიღებან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობასანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ბერაძი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** თავ. ივანე მაჩაბელს გუშინ და გუშინ წინ 200 პოლიციელი თუ ცხენებზე, თუ ფეხით პოლიცმეისტრის ბრძანებით დაეძებდნენ მთელს ქალაქში და ქალაქის მიდამოს ყველა ხევებში, ღრეებში, მაგრამ კიდევ ვერას გახდნენ. მტკვარში ძებნას განაგრძობენ გამუდმებით.

ზოგიერთი მეგობრები თავ. მაჩაბლისა დარწმუნებულნი არიან, რომ ის ცოცხალი უნდა იყოს, რადგან მაჩაბლის მაგარი ხასიათი ვიცით და ის თავის დღეში თავს არ მოიკლავდაო. შესაძლებელია ვინმემ მოკლა, თორემ თვითონ არ იქადა ასეთს საქმესო.

ზოგიერთები კი, უფრო დაახლოვებულნი, ამბობენ, მაჩაბლის მდგომარეობა მისივე სიტყვებით ისეთი ძნელი იყო, რომ ადვილად შეეძლო თავის მოკვლაო.

უმთავრეს მიზეზად მოჰყავთ მისი ავადმყოფობა. უკანასკნელ ხანებში ექიმებმა უთხრეს გვერდის იარა არ დაიწურება არასოდეს და ყოველთვის ჩირქის დენა გექნებაო.

ზოგი ექიმი აბასთუმანში წასვლას არ ურჩევდა, ჰლექი ადვილად დაგემართებაო. თითონაც ბევრჯელ უთქვამს თავ მაჩაბელს, თუ იარა არ დაიხურა, ჩემ თავს არ ვაცოცხლებო, რა ცხოვრებაა ნიადაგ შეკრული და შებოჭილი ვიაროო. ჰლექის შიშმა კიდევ უფრო გაამწვავა მისი მდგომარეობა თანაც მატერიალური შევიწროება ზედევნიდაო, ბანკებში ვადებით ბევრი გადასახადი ჰქონდაო, ყველაფერი ამის მოშორება განიძრახა, საუკუნო მოსვენება მოენატრა და გადასწყვიტა თავის მოკვლაო.

ჩვენის აზრით მატერიალური შევიწროება თავ. მაჩაბელს ვერ მიიყვანდა თავის მოკვლამდე, რადგან ამ უკანასკნელ დროს მისი საქმეები მატერიალურად გამოკეთებული იყო.

უფრო სარწმუნოა, თუ კი თავი მოიკლა, ის გარემოება, რომ თავ. მაჩაბელმა დაკარგა იმედი თავის სენისაგან განკურნებისა. მართლაც ისეთი ენერგიის პატრონი, ისეთი მოუქანცავი კაცი, როგორიც იყო თავ. ივ. მაჩაბელი, ძნელად აიტანდა მუდამ შეკრულ და პინტებით შებოჭილ ცხოვრებას.

საზოგადოების უმრავლეს ნაწილს არა სწამს მაჩაბლის მოკვლა. არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა სჩანს და ამ ნაირად კაცის მოკვლა, რომ მცირედიც არის ნიშანი არსად ვამოტყვრეს, შეუძლებელიაო.

გუშინ საღამოთი ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ თავ. ივ. მაჩაბელი ვითომც ენახოთ წარსულს კვირას მცხეთის სადგურზე.!.

*** † იოსებ შარაბიძე. ქუთაისში გარდაცვლილა საკრებულო ტაძრის მთავართ-მთავარი მამა იოსებ შარაბიძე, რომელმაც პირველად გადმოიღო ჩვენში საეკკლესიო გალობა ნოტებზე.

*** მთავარ-მართებლის დაბრუნება. კავკასიის მთავარ-მართებელი დაბრუნდება ტფილისში ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში, შემდეგ ტფილისიდან გაემგზავრება საზაფხულოდ კოჯორს.

*** უარი საჯარო წიგნთ-საცავის დაარსებაზე. როგორც ისმის, არც კავკასიის უმაღლესს მთავრობას შეუწყნარებია ტფილისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა საჯარო წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ.

*** ახალი მარკები. სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციაში შესდგომიან ახალი შაურიანი, ორ შაურიანი და სამ შაურიანი ღერბის მარკების ბეჭდვას.

*** ტელეფონის გამგეობის ცვალება დაწესება 1-ლ ივლისიდან ტფილისის ტელეფონის ქსელი გადაიქცა დამოუკიდებელ დაწესებულებად; ტელეფონის ქსელის მმართველად დანიშნულია ელექტროტეხნიკოსი 1-ლ ხარისხისა კ. პ. ჩინოი, ხოლო სატელეფონო მუშაობის მწარმოებლად—1-ლ ხარისხის ელექტროტეხნიკი ვ. ა. პოქი-

დაევი; რომლებსაც უნდა მიჰმართოს ყველამ, ვისაც რამე საქმე აქვს ტელეფონის შესახებ და სხ.

*** **შუამდგომლობა ქსენონის დაარსების შესახებ.** სოფ. ქვემო-მაჩხაანის გლეხთა საზოგადოებას კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს საზოგადოების ხარჯით სასოფლო ქსენონის დაარსების შესახებ.

*** **გაქცეული ემეწვალები.** ოქროყანის ზნეობის გამასწორებელ ახალ-შენიოან გაქცეულა ექვსი ყმაწვილი. პოლიცია ფიცხლად დაეძებს.

*** **ს. აკეთი** (გურია). **გურიის სახალხო წიგნთ-საცავის შესახებ.** აგერ ექვსი წელიწადია მას შემდეგ, რაც ამ სოფელში ბბ. არსენ წითლიძის და ისიდორე რამიშვილის თაოსნობით დაარსდა გურიის სახალხო უფასო წიგნთსაცავი, რომლის გამგედაც მე ვითვლებოდი. სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო გამგეობას თავი დავანებე და ეს სამიოთხი წელიწადია ყოველსავე საქმეს წიგნთ-საცავისას განაგებდნენ სხვა-და-სხვა პირები, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე თან-და-თან ცუდად წავიდა. ჟურნალ-გაზეთები აღარ მოგვდიოდა, დიდის ვაი-ვაგლახით შეძენილი ძვირფასი წიგნები დაიბნა, წიგნთ-საცავი კინაღამ გამოცარიელდა და გულ-შემატკივარმა პირებმა დამიწყეს ყვედრება. ამის შემდეგ ისევ მე ვიკისრე წიგნთ-საცავის გამგეობა. წიგნთ-საცავის სახლი უფრო მარჯვე ადგილას გადვიტანე და ექვსამდე სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთები გამოვიწერე. მაგრამ, საუბედუროდ, ორასზე მეტი საუკეთესო მწერლების თხზულება ქართული და რუსული დაბნეულია. ამ ორი-სამი წლის წინად დავთარში ჩაუწერიათ ესა და ეს წიგნი წაიღო ამა და ამ კაცმაო; როდესაც წამღებთ მოვთხოვე წიგნები, მიპასუხეს: წავიღე, მარა უკანვე დავუბრუნე წიგნთ-საცავსო, მიმღებს არ ჩაუნიშნავს, ეს რა ჩემი ბრალიაო.

ბევრი ისეთი წიგნიც გვაკლია, რომელიც არც ვისმეზე სჩანს წაღებულად და წიგნთ-საცავშიც არ არის. რამ ჩაყლაპა, მხოლოდ ალლახმა უწყის! დაკარგული წიგნები უთუოდ ინტელიგენტებს აქვთ წაღებული, რადგან უმრავლესობა ისეთი წიგნებია, როგორც მაგალითად მიხაილოვსკის თხზულებანი, ტოლსტოისა, შჩედრინისა და სხვ. ასეთს წიგნებს უბრალო სოფლის კაცი ან ქალი ხომ არ წაიღებდა! უმორჩილესად ვსთხოვ იმ ბატონებს, რომელთაც აქვთ წაღებული ხსენებული წიგნთ-საცავის წიგნები, კეთილ ინებონ და დაგვიბრუნონ.

გამგე წიგნთ-საცავისა ჯამულეთი ბაჟუნაიშვილი

*** **ს. მეტეხი** (ქართლი). **ახალი ექიმი.** მეტეხი, ახალქალაქი და მის გარეშემო მყოფი სოფლები დღემდის მეტად შეწუხებული იყო უექიმობისა გამო. დღეს-კი ჩვენს ბედზე გაჩნდა ერთი სწავლა-დამთავრებული ექიმი, ივანე ალ. კარგარეთელი. ეს ექიმი თვითონ აქაურია. ბ-ნი კარგარეთელი ძალიან გულ-კეთილი და ლმობიერი კაცია. ცოდნაც კარგი აქვს. მან ახალქალაქში ერთი ისეთი ავადმყოფი მოარჩინა, რომელზედაც ბევრს ექიმს ხელი ჰქონდა აღებული. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენი მოწინავე პირნი გლეხკაცობას ჩააგონებდნენ, რომ ახალ ექიმს დაუნიშნონ შესაფერი წლიური ჯამაგირი და აღარსად გაუშვან ეს სასარგებლო ადამიანი, რომელიც ფარვანასავით თავს ევლება ავადმყოფ ხალხს. იმედია ჩვენი მხნე და გონიერი მამასახლისი ითავებს ამ საქმეს და კეთილად დაგვირგვინებს.

გლეხი ალექსი მირზაშვილი

*** **დ. ახალ-სენაკი. სამეგრელოს დეპუტატთა კრება.** 25 ივნისს საღამო ჟამს სასულიერო სასწავლებლის დარბაზში შეიკრიბნენ მცირეოდენი რიცხვი დეპუტატებისა. ამ საღამოზე მათ მხოლოდ ზოგიერთი კითხვები განიხილეს და სხდომა მეორე დღისათვის გადიდვა. უმთავრესი მიზანი ამ კრებისა გახლავთ ის, რომ საბოლოოდ გადაწყდეს სასულიერო სასწავლებლის შენობის აგების საქმე. ეს მე-38 კრება აქვთ დეპუტატებს, მაგრამ ჯერ არავითარი საქმე არ გაუკეთებიათ და ვნახოთ, თუ ეხლა მისცემენ ბოლოს.

გურულ-მეგრელი

*** **გუდაუთი.** (აფხაზეთი) **გვალვა.** 8 მაისიდან დაწყებული ჩვენში დედა-მიწას ცვარი წვიმა არ დასცემია, ამის გამო დღეს საყანე ადგილები გამხდარა ველებად და საქონლის საძოვარ ადგილებად, უამისოდაც არა-მუშა აფხაზები, აბა რას გააკეთებენ. აფხაზებმა რომ იცოდნენ მიწის დამუშავება ზამთრობით, როგორათაც ეს ქვემო იმერეთში და სამეგრელოში იციან, მაშინ ძალა-უნებურათ მაინც დაითესებოდა ყანები. ახლა ხალხმა არ იცის, რა საშვალებას მიმართოს, ან ცოლშვილის ჰირ-ვარამს როგორ გაუძლოს ან სხვა მოთხოვნილებას და ფოსტის გადასახადს. მაგრამ ესენი ჯერ კიდევ ცას შეყურებენ, და მოელიან წვიმას, ეგებ ყანები სანახევროთ მაინც დავთესოთო? ხოლო რომ დათესონ ჰირნახული, მოვა თუ არა, ალლახმა უწყის.

— **სიმინდის ფასის დაწევა.** ერთათ ერთი სიმინდი იყო ჩვენი აღებ-მიცემობის ამაყვავებელი და ამ ბოლო დროს მისი ფასიც ძალიან დაეცა. ეს ექვსი-შვიდი წელი ვერ ვეღირსეთ სიმინდის ფასის აწევას. ერთხელ კი აიწია თავი, მაგრამ არ დასცალდა და ჩარჩ-ბერძნების წყალობით ისევ დაეცა. ასე წარმოიდგინეთ წინანდელზე კიდევ უარესი დაემართა. 60 კ. ნაყიდი სიმინდი 38 კ. იყიდება.

— **თამბაქოს პლანტაცია.** თამბაქოსაც შავი დღე ადგია ჩვენში. გვალვამ დახეთქა მიწის ზედა პირი და დახეთქილ მიწაში მოჰყვა ნორჩი თამბაქოს ძირებიც.

— **მეხის დაცემა.** აქაურ მცხოვრების ჟუკოვის სახლს 20 ივნისს მეხი დაეცა და სახურავი ჩაამტვრია. სახლი ქვისაა, ორ სართულიანი. მარცხი არა მომხდარა-რა, რადგანაც თვითონ ჟუკოვი ამ დროს შინ არ ყოფილა, ხოლო მისი ცოლშვილი სამზარეულოში იმყოფებოდა.

— **ერთი სასიხარულო ამბავი.** ამდენ უბედურებასთან, როგორც იყო, ერთი სასიხარულო ამბავიც გავიგეთ: ქ. ნოვოროსიისკიდან ქალაქ სოხუმამდის რკინის გზა გაკეთდება და ელექტრონის მატარებელი ივლისო, ამ ამბის გამო ყველა მოხარულია და ვისურვებთ ეს საქმე დაემთავრებინოთ.

— **უზნეობა.** გუდაუთში არსებობს ერთი „ხარჩევნია“, სადაც იმყოფებიან—ყირიმიდან და რუსეთის სხვა და სხვა მხარეებიდგან მოსული მანდილოსნები; ეს უკანასკნელნიც გვალვას გაუჩერებია. ვითომდა გვალვის გამო თამბაქოს პლანტაციებზე ვერ უმუშავნიათ და წვიმას უცდიან. საღამოობით ეტანებიან ყმაწვილებში, რომელთაგანაც დუქანში ხშირად იმართება აყალ-მაყალი და ჩხუბი. საჭიროა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. საჭიროა, ეს მანდილოსნები აქეთ-იქით დაიქსაქსებოდნენ, რადგან ისინი ცუდი სენით არიან შეპყრობილნი და მოსალოდნელია, რომ უარესიც დაემართებათ.

— **ბანქობა.** აქაური ვაჟბატონები დილიდან საღამომდე და საღამოდან გათენებამდის ტრახტირებში ატარებენ დროს და გაცხარებით ბანქოობენ.

გ. ნალარა

*** **ს. ასკანა. შენიშვნა წიგნთ-საცავის გამგეს.** მშრომელ ხალხს, როგორც მოგეხსენებათ, მოსვენება, მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში აქვს და ისიც რამოდენიმე სათით. აი, ამ პაწაწინა დროს დიდის სიამოვნებით შესწირავს იგი გონების ვარჯიშობას. ამიტომ ს...როა, რომ „სახალხო“ სამკითხველო გაღებული იყოს კვირა-უქმე დღეებში სადილს შემდეგ მაინც. ამის თქმა აქ იმიტომ დამჭირდა, რომ მინდა პატარა შენიშვნა მივცე ბ. ასკანის სამკითხველოს გამგეს. მე საქმის დღეს დრო ნებას არ მაძლევს, რომ ყანას თავი დავანებო და წიგნის საკითხავათ ვიარო სამკითხველოში; მოცლილს დროს კი დიდის სიამოვნებით დავალევინებდი წყალს ჩემს დახშულ გონებას. მაგრამ რა? ხან სამკითხველო დაკეტილი მხვდება, ხან ღიაც არის, მაგრამ ვერსად ვხედავ ბიბლიოთეკარს, რომ წიგნი გამოვართვა, დავჯდები და უყურებ, სანამ ნამეტნავ არ მოაწყინდება, მერე შეხედავ ყრუ შენობას, „ცეცხლმა დამიწვას შენი თავიო“,— იტყვი და გაუდგები შინის გზას. ამას გარდა, ჩვენს სამკითხველოში უკანასკნელ დროებში ერთს ახალს გაზეთს ან ჟურნალს ვერ ნახავ. რა არის მიზეზი? ფოსტა დადის ოზურგეთში, სადაც ჩვენი ბიბლიოთეკის გამგე-დამაარსებელი ცხოვრობს; ის ღებულობს ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ დანიშნულებისამებრ გაგზავნა კი ავიწყდება, საუბედუროდ. ძალიან გვიკვირის ჩვენ ეს. ეს გულ-აცრუებული მოქმედება ბოლოს დროს დაეტყო წიგნთ-საცავის გამგეს. მიზეზი ვერ გაგვიგია.

პილიკოკი

*** **სამეგრელო. ქურდობა.** სამეგრელოში ბევრგან ქურდობა არამც თუ მოისპო, უფროც ვრცელდება, მეტადრე სოფ. ბანძაში მცხოვრებთა უმრავლესობა კარგათ დახელოვნებულია ამგვარ საქმეში; თუმცა ბანძის მთავრობას პევრი ღონისძიება უხმარია, რომ ქურდობა მოესპო; მაგრამ ბანძელებს, სულიც რომ ამოაძრო, ამ ჩვეულებას არ დაიშლიან. ამათ წაბაძეს სხვა და სხვა ვაჟბატონებმაც და მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევენ. ძლიერ შეწუხებულია ქურდობისაგან აგრეთვე სოფ. პატარა გულიხეთი. ერთს აქაურს აზნაურს ნ. ჩიჯავაძეს, იქვე თავის მახლობლად, ცხენის წყლის ქალაში, ორი ცხენი ჰყავდა გაშვებული საძოვრად და დღისით, დილის თერთმეტ საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის ვიღაც ბოროტ-მოქმედმა ეს ცხენები მოსტაცა. მართალია, პატარა გულიხეთელებს ჰყავთ დანიშნული „ხევისთავები“ (მცველები) მაგრამ ისინი ქურდობის შესახებ ყურსაც არ აბარტყუნებენ და არც ფიქრათ აქვთ, რომ თავისი მოვალეობა შეასრულონ და მათ სოფელს რაიმე საშუალება აღმოუჩინონ. შესაბრალებელნი არიან პატარა გულ ხეთელები;

ისინი გულ-ნაღვლიანად გადასცქერიან თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-მამულს, რომელიც ეხლა ცხენის წყლის უნაყოფო ქალას შეადგენს, და აბა სად შეუძლიანთ ქურდობასაც გაუძლონ! ძლიერ საჭიროა, ვისიც მოვალეობა არის, განკარგულება მოახდინოს ქურდობის შესამცირებლად და მით ცოტათი მაინც შეღავათი მისცეს საზოგადოებას.

ე. ჩი—ძე

*** **სოხუმი.** მამაშვილის დაკარგვა. ამას წინად სოფ. აბჟაყვაში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. იქაურს მცხოვრებ ვინმე ბერულავასთან მოჯამაგირეთ იდგა სენაკის მაზრის მცხოვრები ნიკ. გრიგოლია, რომელსაც თანა ჰყავდა თავისი 13 წლის ქალიშვილი. ერთს დღეს ბერულავას სახლში სამოცი მანეთი მოუტანია და, გრიგოლიას ქალიშვილი რომ უყურებდა ისე, ზანდუკში შეინახა. შინაურები რომ გარედ ყოფილან, გრიგოლიას ქალიშვილს ზანდუკი გაუღია, ფული ამოუღია და ლეიბში დაუმალავს. ფულის დაკარგვა მალე გაიგეს. ეჭვი აიღეს ქალიშვილზე. ჩააცივდნენ, გამოტყდიო. გრიგოლიასაც უთხრეს, შენი ქალიშვილი მოიპარავდა უსათუოდ და გამოტეხე როგორმეო. მამამ დიდი ფიცი სთქვა, ჩემს ქალს ისე ღმერთი როგორ გაუწყრებოდა, რომ თქვენის ოჯახისათვის ასეთი წესოება ეკადრებინაო. ბოლოს, ქალი დაიმარტოხელეს და ძალა დააყენეს. ისიც გამოტყდა, მართალია, მე მოვიპარე და ლეიბში შევინახეო. მამის თანდასწრებით ლეიბი გაარღვიეს და ამოიღეს მოპარული 60 მან. ამის მნახველს გრიგოლიას ელდა ეცა. ვერ აიტანა ასეთი სირცხვილი თავისის ქალისა: იქვე, კედელზე, ჩამოკიდებული სატევარი ჩამოგლიჯა და გულში დაიტაკა. ასეთს სიცოხლეს სიკვდილი მირჩევნიაო.

დაჭრილი გრიგოლია იმავ დღეს სამხედრო ლაზარეთში ჩამოიყვანეს. აქ სამი დღე დაჰყო ავადმყოფმა და მეოთხეზე გამოიქცა, მოიტაცა თავისი ქალიცა და სადღაც გადაიკარგნენ ორივ მამა-შვილი. ამბობენ, თავიც დაიხრჩო გრიგოლიამ და თავისი ქურდი ქალიშვილიც დაახრჩოვო. ადმინისტრაცია ორივეს დაეძებს.

გ. [illegible]რკალაია

*** **ს. ეკი** (სამეგრელო). დღეობა, ორი კაცის დაჭრა და შესანიშ[illegible]დგილები. აქ ყოველ წლობით იციან დღეობა ეგრედ წოდებული „ხვამა ივანობა“. ამ დღეს ორმა გლეხმა გვარად ცახვიტავებ[illegible] ერთმანეთს ესროლეს რევოლ[illegible]ი: ერთს წელში აქვს მოხვედრილი და მეორე მხარეს გასული, ხოლო მეორეს—თვალში; უკანასკნელის ჭრილობა არ არის ისე საშიში, როგორც პირველისა.

აქაურ ეკლესიაში მრავალი ციხე-ნანგრევებია. სხვათა შორის შესანიშნავია „დილევი“ ეს არის საკირე, სადაც, ხალხის თქმულებით, დამნაშავე კაცს ჩააგდებდნენ ხოლმე ძველს დროში და მეორე რკინა „იაკორი“ (ღუზა), რომელიც ვიღაც კაცს სათათრეთიდან ჩამოუტანია, ე. ი. ღვთისათვის აღუთქვამს უკეთუ ჩემს ქვეყანაში მშვიდობით მიმიყვან, ამ ღუზას (რომელსაც ხომალდებისთვის ხმარობენ) ეკის იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიაში მივიტანო, და მართლაც მოუტანია ამ ღუზას ამგვარ დღესასწაულობის დროს ეკლესიის ირგვლივ სამჯერ ჩამოატარებენ.

გურულ-მეგრელი

*** **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი) ფ. დავითაიას და მარ. ჩაჩავას საჩივარი. 24 თიბათვეს ადგილობრივმა მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საჩივარი აქაურის ვაჭრის ფარნა დავითაიასი აქაურსავე მცხოვრებ პრაპორშჩიკის მეუღლე მარიამ ჩაჩავაზე შეტანილი. როგორც „ცნ. ფურც.“ მკითხველებმა იციან, ადრე ქ-ნმა მარიამ ჩაჩავამ ხსენებული ფარნა დავითაია სოხუმის ეპისკოპოსთან დააბეზღა: ფ. დავითაია და სპირ. ნარაკიძე ყოვლგვარ კანონის საწინააღმდეგო საქმეში ერევიან, მთავრობის მეხანათი და ორგულნი არიან და სხ. და სხ. ფარნა დავითაიამ და სპ. ნარაკიძემ სასამართლოში უჩივლეს მარიამ ჩაჩავას, უსაბუთოდ დაგვაბეზღა და ჩვენს სახელს ჩირქი მოსცხოვო, ამიტომ პასუხის გებაში მიეცითო. მოსამართლემ საქმის გარჩევის დროს, მარიამ ჩაჩავას მოსთხოვა, კანონიერი საბუთები წარმოადგინეთ, რომ ეს პირნი მართლა ისეთები არიან, როგორებადაც თქვენ დაგიბეზღებიათო. მარიამ ჩაჩავა მოსამართლეს დაჰპირდა, წარმოვადგენ ამ საბუთებსაცაო. საქმე მომავალ ენკენისთვის 14-თვის გადაიდო.

ორავა

*** **ს. ატანა** (გურია) მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს სოფელ ატანის უფასო სამკითხველო-წიგნთ საცავს, ფულით თუ წიგნებით, რომელიც გარდაცემულ იქმნა ვისთანაც ჯერ იყო. აი სია შემომწირველთა: ქ-ნი: ნ. ი. მაჭაროვისამ, ნ. ნ. ბერეჟანისამ, ა. ი. კეტეტისშვილმა, თ. გ. თოთიბაძემ და კ. მახარაძემ თითო მანეთი, ს. ბ. ქავთარაძემ, ბ. ე. მამალაძე, მ. ს. ნიკოლაიშვილმა, ზ. მ. გვალიამ, გ. გ. ქველაძემ, პ. გ. ურუშაძემ, გ. ბ. კაჭანტირაძემ და ამბაკო კიღურაძემ ათ-ათი შაური; დ. ი. მარგალიტაძემ, ა. ს. კიპურჭაძემ და ნ. ი. მაღლაკელიძემ ექვს-ექვსი შაური; გ. გაბუნიამ აბაზი,

სულ ათი მანეთი და ორი შაური. ამასთანავე წიგნები შემოსწირეს: მღ. დ. ჯინჭარაძემ ოთხი მან., ი. ბ. ყანჩაველმა სამი მან., ქ-ნმა მ. გოგიტიძისამ და თეოფილე გოგიტიძემ ორ-ორი მანეთის, ს. კვინიხიძემ ორი მანეთი და ათი შაურის, ი. საბაშვილმა მანეთის და 81 კ, ს. ს. მგელაძემ მანეთი და ათი შაურის, გ. ქ. თოიძემ 71 კ., მ. ჩიგოგიძემ, ბ. მამალაძემ, გ. ქიქლაძემ, ზ. გვალიამ და ს. რუხაძემ სამ-სამი აბაზის. სულ ოცი მანეთად, ათი შაურად და ორ კაპეიკად ღირებული წიგნები.

სამკითხველოს წევრთაგანი მავრი სპირიდონის ძე ტუსკია

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო 1898 წლის თიბათვის განმავლობაში

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1, საწევრო ფული: | | |
| 1, ეკატირინე ასათიანისაგან | 6 | » |
| 2, ნიკოლოზ გივის ძე გოგიტაძისაგან | 6 | » |
| 3, თომა ზაქარიას ძე ნასიძისაგან (ნაწილი) | 2 | » |
| 4, გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილისაგან (ნაწილი) | 3 | » |
| 5, დავით ბესარიონის ძე ლობერიძისაგან | 6 | » |
| სულ | 23 | » |
| 2, ყულაბებით შეგროვილი ფული: | | |
| 1, ელისაბედ ბაქრაძისაგან | 4 | 32 |
| 2, კნ. მაკრინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბისაგან | 22 | 31 |
| სულ | 26 | 63 |
| 3, შემოწირულებანი: | | |
| 1, საზოგადოების აგენტის თომა მთავრიშვილისაგან | 30 | » |
| 2, კიკნაძისაგან ყარსში გამართულის წარმოდგენის შემოსავალი | 163 | 09 |
| სულ | 193 | 09 |

## სასამართლოს მატიანე

**ი. თაიროვისა და ილია წამალაშვილის დავა.** ჩვენს მკითხველებს, უეჭველია, ახსოვთ, რომ ამ ორი წლის წინად ერთმა „კულტუროსანთა“ სოვდაგარმა, ი. ა. თაიროვმა, დავა დაუწყო ილია წამალაშვილს—ვერაზე ერთი ნაკვეთი ჩემი საკუთრება მიწა მიითვისაო. აი ამ საქმის გარემოება: ამ ორი წლის წინად მომრიგებელმა მოსამართლემ ილია წამალაშვილი სადავო ადგილის კანონიერ მესაკუთრედ სცნო და ჩააბარეს მას ხსენებული ადგილი წესისა და კანონისამებრ. თაიროვმა, შეიტყო თუ არა ეგ ამბავი, საჩივარი შეიტანა სასამართლოში—ის ადგილი ჩემი საკუთრებაა, 1882 წელს იჯარით გადავეცი შიოევსაო, რომლისგანაც წამალაშვილმა ამ ადგილზე აშენებული სახლი იყიდა, ხოლო სახლს ქვეშ ადგილი-კი არ შეუძენია და არც არავითარი უფლება აქვს ზედაო. მომრიგებელმა მოსამართლემ მაშინ დააკმაყოფილა თაიროვის საჩივარი; ოლქის სასამართლომაც დაამტკიცა მოსამართლის განაჩენი, მაგრამ გულ-დაწყვეტილი წამალაშვილი არ დათანხმდა და განასაჩივრა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გააუქმა მომრიგებელი მოსამართლის განაჩენი და დაუბრუნა ისევ ოლქის სასამართლოს ხელ-მეორედ განსახილველად.

ოლქის სასამართლომ 3 ივლისს განიხილა ეგ საქმე. წამალაშვილის ვექილი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე გ. ბ. გვაზავა, ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში სასამართლომ უკანონოდ იხელმძღვანელა მოწმეების ჩვენებით, რადგან აქ ადგილის საკუთრებაზე არის დავა და ასეთს დავაში ხომ საბუთებით უნდა მტკიცდებოდესო ამა თუ იმ მხარეს სიმართლე.

თაიროვის ვექილმა, ბ. თხორჟევსკიმ, მოახსენა სასამართლოს, რომ პალატამ თუ სასამართლოს განაჩენი დაარღვია—ამაში ცოტაოდენი დანაშაული მეცა მაქვს, რადგან სადავო ადგილის საზღვრები არ მქონდა ბეჯითად ნაჩვენებიო, ის ადგილი რომელიც ჩემის მარწმუნებლისაგან შიოევს იჯარით ჰქონდა აღებული, სულ 20 ოთხ-კუთხ. საჟენია, ხოლო წამალაშვილის მიერ მითვისებული ადგილი 100 ოთხ-კუთ. საჟენიაო; თუ ვინიცობაა სასამართლომ რაიმე ეჭვი აიღო თაიროვის საჩივრის საფუძვლიანობაზე, მაშინ გთხოვთ მიწის-მზომელს მიანდოთ ადგილობრივ საქმის გამორკვევაო

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

3 ივლისი. პირველად გაკვეთილი მისცა მასწავლებელმა ივანოვიჩმა საღმრთო სჯულში. მეცადინეობდა ორს განყოფილებასთან. გაკვეთილმა მოსაწონად ვერ ჩაიარა. თვალსაჩინო ნაკლულევანება ის იყო, რომ გაკვეთილი არ დაჰყო ნაწილად ბ-ნმა მასწავლებელმა, არამედ მოთხრობის შემდეგ თავიდან ბოლომდის ერთად მოსთხოვა ყანბოთ ბავშვებს, რაც მათ ვერ შესძლეს. აგრეთვე ბავშვი რომ შეჩერდებოდა და რამე კითხვაზე დაფიქრდებოდა, ის კი არ ცდილობდა კითხვებით მიეხვედრებია, არამედ ის თვითონ ეუბნებოდა, რაც წინააღმდეგად ითვლება პედაგოგიაში, რადგან ბავშვს თვით-მოქმედებას არ აჩვევს.

შემდეგ ბ-ნმა ფერაძემ წაიკითხა ლექცია ქართული ენის სწავლის

შესახებ. შემდგომ ლექციისა სამაგალითო გაკვეთილი მისცა ქ-ნმა ალექსაპოლსკისამ. გაკვეთილი სწარმოებდა სამს განყოფილებასთან. უმცროსს განყოფილებაში მიზანს მიახწია პატივცემულმა ქალმა, თუმცა თვითონ რუსი იყო, მაგრამ ბავშვებს ქართულის შემწეობით გააცნო რამდენიმე სიტყვა და მათი სხვა-და-სხვა მდებარეობა.

მესამე განყოფილებაში პედაგოგის წინააღმდეგ მოიქცა. ეტყობოდა კარგად არ ჰქონდა შეთვისებული, თუ როგორ სწარმოებს ახსნითი კითხვის (объяснительное чтеніе) სწავლება. ახსნით კითხვას ჯერ ბაასი უნდა უძღოდეს. პატივცემულ ქალს-კი ეს დაავიწყდა, შემდეგ შესამჩნევი შეცდომა ის იყო, რომ ჯერ სტატია დაასწავლა კითხვით და მერე უცნობი სიტყვები აუხსნა. პედაგოგია კი წინააღმდეგს თხოულობს. საკმარისია ორიოდეჯელ წაიკითხოს სტატია ან თვითონ მასწავლებელმა და ან საუკეთესო მოწაფემ და მაშინვე უცნობი სიტყვები უნდა აიხსნას, თორემ სწავლება მეხანიკურს ხასიათს მიიღებს. ამასთანავე, როგორც ქალი, და მაშასადამე, გულ-ჩვილი არსება, უფრო თანაგრძნობით უნდა მოპყრობოდა ბავშვებს, მათი შეცდომები ისე გაესწორებინა, რომ ბავშვის თავ-მოყვარეობას არ შეხებოდა, მაგ. სტყუი, არაფერი არ იცი და სხვ. ამისთანა მკაცრი მსჯავრი ბავშვის სულის მოძრაობაზე კარგად ვერ მოქმედობს. მასწავლებელი დინჯად იქცეოდა სწავლების დროს.

დაბოლოს ბ-ნმა ბარნაბაშვილმა მისცა გაკვეთილი არითმეტიკაში. გვაკეთილმა კარგად ვერ ჩაიარა, ბავშვებს არ ესმოდათ რას აკეთებდნენ. მასწავლებელი არ ცდილობდა ბავშვებს თვითონ ემოქმედნათ. არითმეტიკის პირველი დანიშნულება-კი ის არის, რომ თავისუფლად ანგარიშს, - ვარჯიშობას მიაჩვიოს ბავშვი.

მ. ლიხელი

---

## ყურმოკრული საუბარი

—

ერთი პატარა ქალი ეგზამენს იხდიდა. ეგზამენატორმა ჰკითხა:

— თქვენი სახელი?

— მაშო.

— მამა თქვენს რადა ჰქვია?

— მამა.

მასწავლებელს უნდოდა ნამდვილი პასუხი მიეღო და ჰკითხა:

— დედა თქვენი მამა თქვენს როგორ ეძახის?

— ქოთვაკო ძაღლოო!..

?!!

—

თევზის ვაჭართან. ამ სიცხეში დიდი ხანი სძლებს თევზი აუყროლებლად?

— სანამ პროტოკოლს შეაყენებენ.

—

ცოლ-ქმარი ვექილთან.

— ჩვენ გვინდა გაგვიყარნეთ.

— მერე ისეთი რა მიზეზი გაქვთ რომ იყრებით.

— ჩემი ქმარი მეტის მეტი სულელია.

— მაგაზე ჯვარის წერის წინად უნდა გეფიქრათ.

— მაშინ მე არ ვიცოდი.

— (ქმარი გაანჩხლებული). სტყუის, მაგან მაშინაც კარგად იცოდა.

—

— ქმარი. მთელი დღე, როგორც ძაღლი ისე დავწანწალებ საქმეზედ და ერთ წამს მოსვენება არა მაქვს.

— ცოლი. მე-კი მთელი დღე კატასავით სახლში ვგდივარ და ოჯახს ვუვლი.

— შვილი. მაშ დიდი-დედა მართალს ამბობს, რომ შენი დედ-მამა ისე სცხოვრობენ, როგორც ძაღლი და კატაო.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

2 ივლისი.

**პეტერბურგი** სამხედრო სამინისტროს გამგე გენერალ-ლეიტენანტი კუროპატკინი დანიშნულ იქმნა სამხედრო მინისტრად.

**პარიზი.** მაიორი ესტერგაზი დაპატიმრებულ იქმნა თავისის საყვარელ ქ-ნ პეითურთ.

პიკარის სადგომი გაჩხრიკეს და სხვა და სხვა ქაღალდები წაიღეს. ბრბომ სახლის წინ მანიფესტაცია გამართა.

**პარიზი.** ესტერგაზი დაპატიმრებულ იქმნა იმიტომ, რომ სიყალბის ჩადენა და სიყალბით სარგებლობა ჰბრალდება. ამ დაპატიმრებას კავშირი აქვს იმ დეპეშებთან, რომელიც მაიორმა ესტერგაზიმ პიკარს გაუგზავნა და რომელსაც ქვეშ „Speranza“ აქვს მოწერილი.

პიკარი დაპატიმრებულ იქმნა იმ დროს, როდესაც გამომძიებელის კაბინეტიდან გამოდიოდა.

**პარიზი.** სოციალისტ ფურნვერს უნდოდა შეჰკითხებოდა მთავრობას პიკარის უკანასკნელ წერილის შესახებ. ბრისონმა სთქვა, ეგ საქმე ერთის თვით გადავდოთო. კავენიაკმა განაცხადა, რომ პალატა არ მოისურვებს ყოველ დღე ის საგანი განიხილოს ხოლმე, რომელიც მთავრობამ თავისის მხრივ განმარტაო. პალატას არ შეუძლიან ყურადღება მიაქციოს იმ კაცის სიტყვებს, რომელსაც არასოდეს არ უნახავს საბუთის ქაღალდები. პალატამ 498 ხმის უმეტესობით 24 ხმის წინააღმდეგ დაადგინა გადასდოს ერთის თვით ამ საქმის განხილვა.

**ოდესსა.** პეტერბურგში მიმავალ ბოლგარიის მთავარს მეუღლისა და შვილის ბორისითურთ 7 ივლისს მოელიან ოდესსაში. აქაური ბოლგარელები ემზადებიან, რომ მიეგებნენ მთავარს. აზრადა აქვთ ადრესი მიართვან.

**ვენა.** ნემეცთა დასების მეთაურების კრებაზედ უარ-ყოფილ იქმნა მთავრობის წინადადებანი ენათა შესახებ. კრებამ განაცხადა, რომ ჩეხებს ბევრს უთმობენო.

**გონკონგი.** მეამბოხეთ ცხრა ქალაქი აიღეს და ვუ-ჩჟოის დასავლეთით დაამარცხეს იმპერატორის ჯარი. ვუ-ჩჟოიში გაავრცელეს ბარათები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ ომი მოხელეების წინააღმდეგ არის დაწყებულიო. მთავრობის წარმომადგენელთ იყიდეს კანტონში 8,000 თოფი და მოლაპარაკება დაიწყეს ზარბაზნების ყიდვის შესახებ.

**სოფია.** ფილიპპოპოლში ჩამორჩობილ იქმნენ ანნა სიმონის მკვლელნი—როტმისტრი ბოიჩევი და პოლიციის პრეფექტი ნოველიჩი.

**პარიზი.** ესტერგაზის დაპატიმრება გადაწყვეტილ იქმნა მაშინ, როდესაც განიხილეს სხვა და სხვა საბუთის ქაღალდი, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, ქ-ნ პეის მისის კარნახობით დაუწერია. ესტერგაზი სამოქალაქო სამართალში იქმნა მიცემული, არ იციან, ამ დაპატიმრებას რაიმე კავშირი აქვს თუ არა დრეიფუსის საქმესთან.

3 ივლისი.

**პარიზი.** სტამბოლიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ, რადგანაც ოსმალეთის მთავრობამ საფრანგეთის საელჩოს ხელ მეორე მოთხოვნილებაზე ისე უპასუხა, რომ იმ ზარალს არა ვზღამ, რომელიც მოხდა სომხების დახოცვისა გამოო, ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ შეუკრა იმდენი ფული საბერძნეთიდგან ასალებ სამხედრო საზღვაურიდგან, რამდენსაც თხოულობდა.

პიკარი გადიყვანეს სანტეს საპატიმროში. პიკარი სამართალში მისცეს იმ კანონის ძალით, რომელიც ჯაშუშობას სდევნის.

**პეტროზავოდსკი.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარისა და ადგილობრივ ეპისკოპოს თანადასწრებით, გუბერნატორმა განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქმნას დაარსებულიო.

**ვაშინგტონი.** შაფტერი და მაილსი იუწყებიან: „ტორალმა განაცხადა, რომ მინდობილი მაქვს წავიყვანო ჯარი და გადმოგცეთ ნავთ-სადგური, სამხედრო სურსათი და კუბას კუნძულის აღმოსავლეთის მხარე.

ამერიკის სამხედრო სამინისტრო არ სთანხმდება ჯარის წაყვანაზე. შაფტერი კვლავ დაემუქრა, ქალაქს ყუმბარებს დავ[illegible]შენო.

ეშინიანთ, რომ ამერიკის ჯარი დიდ განსაცდელში იქმნება წვიმებისა და ციებ-ცხელების გამო.

ხმა დადის, რომ კაბინეტის საბჭომ გადასწყვიტა იერიშით მიიყვანოს ჯარი სანტ-იაგოზე.

**მადრიდი.** მთავრობამ დეპეშით მისწერა ბლანკოს, უბრძანე ტორალს, რომ უკანასკნელ საშუალებამდე განაგრძე ომიო. ამბობენ, რომ ბლანკომ კვლავ შეატყობინა მთავრობას—ომი უნდა განვაგრძოთო.


## განცხადებანი

ოთახებით მოწყობილ სასტუმროს (ნომრების)

„საქსონია“

პატრონი ლაზარე ნიკოლო[illegible]ს მე[illegible] ამით აცხადებს ტფილისში ახლად მოსულთა და პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ რომ მან თავისი სასტუმრო, რომელიც იმყოფებოდა წოვიანოვი სახლში გადაიტანა ამბარცუმ ენფინჯიანცის სახლებში ნიკოლოზის მოედანზე 1 ივლისიდამ ამა წლისა. (3—3)

დაიბეჭდა და გამოვიდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ [illegible] წიგნი

თ. ილია ჭავჭავაძე

[illegible]

ფასი 20 კაპ.

[illegible] (15—12)